

899.962-1  
9-699

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

პოთა ზოიქი

ანა  
კალანდიაძის  
შემოქმედა

10.01.01. ქართული ლიტერატურა

ავტორეზიტი  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის  
სამეცნიერო ხარისხის მოხაპოვებლად

თბილისი  
1999

899-962-1  
8-699

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სელნაწერის უფლებით

**პოთა ზოიკა**

**ანა  
კალანდიაძის  
შემოქმედება**

10.01.01. ქართული ლიტერატურა

**ა მ ტ რ ე ვ ე რ ა ტ ი**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის  
ხამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი  
1999

-1453-

ნაშრომი შესრულდა იმანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფო  
ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

კონსულტანტი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი რ. მიშველაძე

ექსპერტი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი თ. ჭურდულია

ოფიციალური  
ტოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი ს. სიგუა  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი შ. ჩიჩუა  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი გ. ჯავახიშვილი


წამყვანი  
ორგანიზაცია: აკადემიის სახელობის ქუთაისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წლის "15"   X    
  13   საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო  
საბჭოს P.10. 01. C №2 სსდომაზე.

მისამართი: 380026, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ი. ჯავახიშვილის სა-  
ხელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

ავტორეფერატი დაიგზავნა 1999 წლის "9"   IX  

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი:  ნ. ტაბიძე.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა: ანა კალანდაძე მეოცე საუკუნის ქართ-  
ული პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო და ღირსე-  
ული წარმომადგენელია. მის სახელთან დაკავშირებულია ქართული  
ლექსის ფერისცვალება ჩვენი საუკუნის მეორე ნახევარში. საუკუ-  
ნის პირველ მეოთხედში ეს ფუნქცია ვალაკტიონ ტაბიძემ და ცის-  
ფერყანწელებმა შეასრულეს.

მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის წიაღში გენიოსების  
გვერდით მოღვაწეობდნენ პოეტები, რომლებმაც თავიანთი  
შემოქმედებით ყველაზე უკეთ გამოხატეს ეპოქა, რომელშიც ისინი  
ცხოვრობდნენ და უდიდესი როლი შეასრულეს ჩვენი ერის  
სულიერი კლიმატის გაჯანსაღებაში. ამ მხრივ მე-20 საუკუნეც  
მდიდარია გამორჩეული სახელებით. გენიალური "არტისტული  
ყვავილების" ავტორის გვერდით გაიზარდნენ პოეტები, რომლებ-  
მაც გამოავლინეს თვითნაბადი ტალანტი და უახლესი ჩვენი პოეზია  
გაამდიდრეს თვალსაჩინო შედეგებით. მათ შორისაა ქართული  
პოეზიის დედოფალი ანა კალანდაძე, რომელმაც დაიმორჩილა თავ-  
ისი წილი დრო და შექმნა მხატვრული სამყარო, რომლის მსგავსი  
არ იცის ჩვენი ლიტერატურის ისტორიის არცერთმა მონაკვეთმა.

ანა კალანდაძე მღელვარე ეპოქის შვილია. მისი შემოქმედებითი  
დებიუტი დაემთხვა დიდი სამამულო ომის დაწყებასა და დამთავრ-  
ებას, ომისა, რომელმაც განუზომელი გავლენა მოახდინა მსოფ-  
ლიოზე. ამას მოჰყვა ქართულ მწერლობაში ახალი ძალების  
შემოსვლა, რომლებსაც, აგერ უკვე ხუთი ათეული წელია, ხელთ  
უპყრიათ ჩვენი სულიერი ცხოვრების ალაში. ეს არის თაობა,  
რომელსაც ორმოცდაათიანელები ვუწოდებთ და მათ გარეშე წარ-  
მოდგენელია დღევანდელი ჩვენი ლიტერატურული ცხოვრება. ამ  
თაობაში ანა კალანდაძე ყველაზე უფრო გამორჩეული სახელია.  
იგი უკვე აღიარა ხალხმა თავისი მწერლობის ცოცხალ კლასიკოს-  
ად. ამიტომაც მისი შემოქმედების მეცნიერული კვლევა უაღრესად  
პრობლემური და საშური საქმეა. ჩვენს მიერ აღებული თემა, ამ  
თვალსაზრისით უთუოდ აქტუალურია. მით უმეტეს, ანა კალანდაძ-  
ისა და მისი თაობის გამორჩეულ მწერალთა შემოქმედების კვლევა

